№ 121. ივნისის 7, ხუთშაბათი. 1866—1884 ივნისის 7, ხუთშაბათი. № 121.

„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მხცოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე 6 მანათი.

### სათავად-აზნაურო სკოლის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ კვირას, **ივნისის 10-ს**, სათავად-აზნაურო სკოლის ზალაში, დილის 10 საათზედ დანიშნულია საგანგებო კრება **თბილისის** თავად-აზნაურთა საზოგადოებისა ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის, რომელზედაც მოსმენილი უნდა იქმნას აზრი **კომისიისა** შესახებ ამ სკოლის პროგრამისა. (4—3)

### შინაური ქრონიკა

— ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ ამას წინად გავრცელებული ქალაქში ეჭვი შესახებ საობლო სასამართლოში (Сиротскій судъ) უწესოდ საქმეების წაყვანისა გამართლებულა. ამ დღეებში ბ. ნ. შანშიევი დროებით გადაუყენებიათ ამ სასამართლოს თავსმჯდომარეობისაგან...

— ამბობენ—ამ დღეებში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება უხვს შემოწირულობას მიიღებს ერთის პირისაგანაო. როგორც ისმის, ეს შემოწირულობა არის ორ-ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ქუკიაში, ღირებული 15000 მანათიდამ 20000 მანათამდე.

— „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ ამ დღეებში მიიღო ერთის პირისაგან 15 ხელ-ნაწერი და ძველად დაბეჭდილი წიგნი. მათ შორის ორი ეტრატზეა დაწერილი. ერთის ხელი სინაურ ხელსა ჰგავს, ხოლო მეორესი უფრო ადგილობრივია, და ეკუთვნის დაახლოვებით მე-XIII საუკუნეს. დაბეჭდილ წიგნთა-შორის ზოგი მეფე ვახტანგის დროისანიარიან, ზოგნი ირაკლის დროისანი, თვით მეფეთა მიერ დამართულ სტამბაში და მათივე საფასითა და წარსაგებელით დაბეჭდილნი. ბევრს ხელ-ნაწერს ძალიან საინტერესო მიწერილობანიც აქვს. სათაურნი და ბოლო ფურცელნი დიდად ძვირფასნი არიან, როგორც ჩვენის განათლებისა და მწერლობის ისტორიისათვის, ისე მეფეთა და მაშინდელ გავლენიან პირთა უხვებისა და ქვეყნის სასარგებლოდ მზრუნველობის საცოდნელად. სამწუხაროდ, არც დრო გვაქვს და არც ალაგი, რომ ეს მიწერილობანი დაწვრილებით ამოვწეროთ და გავუზიაროთ ჩვენს მკითხველებსაც.

— თბილისის სამაზრო კრებას სამღვდელოებისას დაუბოლოვებია შესყიდვა საეპარქიო შენობისა 21000 მანეთად. ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენი სამღვდელოება ბოლოს დროს არ ზოგავს თავის ჯიბეს და თავის შვილების სასწავლებლებს საკუთარ სახლებს უძენს; ამას იქით კერძო პირების ჯიბეში აღარ გადავა სამას თუმნობით წელიწადში ქირის სახელ.

— ლეჩხურის ხეობიდან გვწერენ ერთს საზარელ ამბავს: აგერ ექვსი წელიწადია, რაც ერთი ისრაილთაგანი იოსებ ჭოენიშვილი ვაჭრობს ლეჩხურის ხეობაზედ ბორის მაზრაში. ჭოენიშვილი, ჩვეულებისამებრ, წასულა სავაჭროდ მაისის ოც-და-ცხრას სოფ. ჭვემო-ჭალიდგან იგუეთში. ეს გზა ტყე-ტყე მიდის. როცა ისრაელს ნახევარ გზა გაუვლია, დახვედრიან ავაზაკები, ნაშუადღევის ორ საათზე და უცემიათ კომბლებით სასიკვდილოდ; თავი და პირი დაუმტვრევიათ და ყურშიაც უკბენიათ, რათა შეეტყოთ მოკვდა, თუ არა. რადგანაც სისხლით დაცლილა და გრძნობა სრულიად დაჰკარგვია, ავაზაკებს ჰგონებიათ მოკვდაო და გზას იქით გადაუგდიათ ჯაგის ძირში და ზედ ფოთლები მიუყრიათ. ამ დროს მგზავრი ზაალიშვილი წასდგომია და უნახავს ცოცხალ-მკვდარი კაცი. ზაალიშვილს შეუტყობინებია მამასახლისისთვის და გაუსინჯავთ საცოდავი! ჯიბეში სამი აბაზი აღმოსჩენოდა და ცხენს ბოხჩები ისევ შეკრული ჰკიდებოდა. სხვა ფული ჰქონდა, თუ არა, ან ბოხჩებს აკლია რამე, თუ არა,—არა სჩანს; რასაკვირველია, ვაჭარი კაცი უფულოდ არ იქნებოდა. ჭოენიშვილის ძმას კი უთქვამს, რომ წინა დღეს ჰქონდა ოთხი თუმანიო. ჭოენიშვილი მამასახლისს დაედო ურემზედ და მოეტანა ბინაზე ჭვემო-ჭალაში-ენა ჩავარდნილი კაცი. ეს მეორე დღეა და კიდევ გონებაზე ვერ მოსულა. ისე ცემით არ არის დარეტიანებული, როგორც შიშით. მამასახლისმა შეატყობინა ადგილობრივს მაზრის უფროსს და იმედია, რომ ეს საზარელი საქციელი დაუსჯელად არ ჩაივლის.

— გაზეთ «ახალ. მიმოხილ.» ვკითხულობთ: «პარასკევს, მაისის 25-ს, საღამოს 10 საათზე, თბილისის მეო-

### «დროების» ფელეტონი ივნისის 7-ს.

### მოლვაწის ხვედრი.

საღამოს ჟამი მოტანებული გახლდათ, როდესაც წარსული მაისის 18-ს ერთი ძველი სახლიდამ მივარდნილ და ნაგვიან ქუჩაზედ ხუთიოდ-ექვსმა კაცმა გამოასვენა ცხედარი. კუბო მდიდრულად არ იყო მორთული, წინ მას მგალობელთა გუნდი არ მიუძღოდა და უკან, ჭირის-უფლის მაგივრად, ქარისაგან აყენებული კორიანტელი მისდევდა. აი ტრიალ-პროწიალით დაეწია ეს ცხედარს და ზუზუნ-გრიალით «მკვდარსა ოხერსა» მდუღარე ცრემლის ნაცვლად ზედ წააყარა უსუფთაო თვისების და სუნის მტვერი.. «მიწა ხარ და მიწად იქეც»,—თითქო ჰაერში გაისმა მწუხარედ საიდგანღაც ხმა და შემდეგ ყველაფერი დადუმდა, თითქო ამ სიჩუმით ბუნებას უნდოდა უკანასკნელი სალამი მიეცა მისთვის, ვინც ამ საათს სამუდამოდ ესალმებოდა ტკბილ-ნაღველა წუთი-სოფელს!.

— ვინა ხართ, ძმობილო, თქვენ?. ეკითხებით კუბოს მიმქონ კაცებს.

— ჩვენ, ბატონო, დალაქები გახლავართ,—ისმის პასუხი.

— მაშ დალაქი იქნება ეგ საცოდავიც!.

— არა, დალაქი არ არის!. «უჩიტელია»!.

— როგორ? ვინ უჩიტელი?. სადაური?..

— ეგ არის გვამი ისიდორე ჭიჭინაძისა, რომელიც სოფელს ხოვლეში იყო მასწავლებლად,—გეუბნებათ დალაქების მაგივრად ახალგაზდა მასწავლებელი გორის საოსტატო სემინარიის პირველ-დაწყებითი სკოლისა ბ. სუდაკოვი, ერთად-ერთი განათლებული კაცი, რომელიც უკან მისდევდა კუბოსა!.—წარმოიდგინეთ, აგრძელებს სიტყვას იგივე,—მთელი ორი დღეა გორის ქუჩები ფეხ-ქვეშ მოვიდე: სად და ვისთან არ მივედი! მაგრამ ერთი არავინ არ დამეხმარა ამ საცოდავი ახალგაზდას დამარხვაზედ. ღმერთმა უშველოთ ამ დალაქებს! შენი მტერი, მე ვიქნებოდი, თუ ამათაც უარი განეცხადებინათ! მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი უბნელი მეზობლები ან სხვაგან გაიქცეოდენ; ან, იქნება, მკვდარი თვით მოეტაცნათ და სადმე უბრალოდ გადაეგდოთ!.

— რადა, კაცო?. როგორ? ჰკითხულობთ გაოცებით.

— აი, შეხედე ამ მეზობლების სახლებს!. დღეს დილითვე ეგრე დაკეტეს კარებები: ზოგნი შიგა სხედან და ზოგნიც სხვა უბნებში ნაცნობებსა და ნათესავებთან გაიხიზნენ. ერთი მათგანი ახლო არ მოგვიდგა!... თხოვნა და მუქარა კი ბევრი იყო: გინდათ თუ არა, ჩქარა უნდა გაასვენოთ ამ უბნიდამ ეგ მკვდარიო!

— მეტყობა, ცუდი რამ სნეულებით მომკვდარა საცოდავი. ეშინიანთ, ალბად, გადადებისა.

— რა ბძანებაა!... მაისის 12-ს მას ენახა ერთი ავად-მყოფი წითელითა და მისგან ეს ავად-მყოფობა ამ საცოდავსაც გადმოედო თურმე... ამ დღეებში ხომ ზამთრის გვარი სიცივეები დაიჭირა!... გაცივდა ძალზედ და ამისგამო საშინელი მომაკვდინებელი მსვლელობა მიიღო წითელამ.... მაისის თხუთმეტს ველარ შესძლო თურმე ყმაწვილების სწავლება, დაითხოვა იგინი და იმავე დღეს ჩამოვიდა გორში. აქ ქუჩაში შევხვდი, შევხედე და მაშინვე შევატყე, რა ცუდს მდგომარეობაშიაც იყო. წავიყვანე სახლში, დავაწვინე და დავხედე მის ტანსა. წითელის ძიძიბ-ძიძიბი თითქმის სრულიად გაშავებოდა. სიცხე აგრე რიგად დიდი არა ჰქონდა, მაგრამ რიღას გამოც გულ-მუცელი კი საშინლად ეწოდა... როგორც შემდეგ გამოჩნდა, თირკმლის აფთების შედეგი ყოფილიყო ეს ცეცხლი. გავქანდი ექიმთან, მოვიყვანე; გასინჯა მან და, ვგონებ, ვერა გაიგო-რა. როდესაც გარდაიცვალა, მაშინ თურმე დაიწყო დალოცვილმა ლაპარაკი, რომ ეგ მოკვდა საშინელი გადამდები სნეულებით — შავი საოფლითაო. ამ ხმას მიეღწია მღვდლამდის, რისგამოც ეკლესიაში გასვენების ნება არ მომცა ამ უკანასკნელმა. რასაკვირველია, ეს ხმა ჩვენს უბანსაც მოედო და ეს არის მიზეზი მის მცხოვრებთა დაფთხობისა. ამათ, სწორე მოგახსენოთ, ბევრიც არა მოეთხოვებათ-რა! ხომ იცი, რა საშინელებაა ჩვენი გაუნათლებელი ხალხისთვის საოფლე და ისიც შავი საოფლე... მე მაკვირვებს მხოლოდ ჩვენი განათლებული ახალ-გაზდობის საქციელი, ეს განუზომელი გულ-გრილობა თვის მოძმისადმი ამის უბედურობის ჟამსა...

ეჰ, ჩემო ძმობილო!... რად გიკვირს და ან რა არის საკვირველი ამ ქვეყნად?... „განათლებული ახალ-გაზდობაო“... სად? ვინ?.. განა, ვილაც გაუნათლებელი ბაშიბუზუყაშვილის ქვეშ-ვრდომი მონები ღირსნი არიან „განათლებულ ახალ-გაზდობის“ სახელწოდებისა?. განა ის საცოდავი მწერი, რომელიც დღეს მოხსენებულ ბაშიბუზუყაშვილს ძირიან-ფესვიანად ამოფხვრას უპირობს და ხვალ-კი მის ხანჯლის და სისხლში მოსვრილ მუშტების დანახვით ისე ჰკარგავს დავთრებს, რომ მხარში უდგება მას და მის სა-

თხე კლასიკურს გიმნაზიაში მოხდა შემდეგი სამწუხარო ამბავი. ერთმა ექსტერნმა ჩიფიანმა, რომელიც ამ გიმნაზიაში იჭერდა ეგზამენს «ატესტატის» მისაღებად, სცემა ამავე გიმნაზიის დირექტორს ბ-ნს ლილოვს, როდესაც ამ უკანასკნელისაგან შეიტყო, რომ მას, ჩიფიანს, როგორც სხვა ექსტერნებსაც —გარდა ერთისა— უფლება აღარა აქვს განაგრძოს ეგზამენი. ჩიფიანი იმ წამშივე დაიჭირეს *), დაატუსაღეს და გაგზავნეს გამომძიებელთან. საქმე წარმოებს მე-3 ნაწილის გამომძიებლის ხელში.»

ჩვენის მხრით დავუმატებთ, რომ ბ. ჩიფიანის ძმამ შეიტანა გირაო, სადაც ჯერ არს, და ბრალდებული დღეს განთავისუფლებულია.

—

შეცდომის გასწორება: ფელტონის მეორე სვეტში, მე-7, მე-8 და მე-9 სტრიქონებში სწერია: თავ-ცამდე კაცმა და დედა-კაცმა და ამ გასული, უნდა იყოს ამის მაგივრად: თავ-გასული. ზემოხსენებული სიტყვები მოწინავე წერილიდგან არიან შეცდომით აქ გადმოტანილნი. მოწინავე წერილის პირველი სვეტის ბოლოს სწერია ორ მოც-და მეორე სვეტი დაიწყობა ასე: თავ-შეფარებულებს,—ამის მაგივრად უნდა იყოს: ორმოცამდე კაცმა და დედა-კაცმა და ამ თავ-შეფარებულებს და სხვ. და სხვ.

*) აქ უნდა შევნიშნოთ ჩვენის მხრით, რომ ბ. ჩიფიანს არც გაქცევა და არც წინააღმდეგობის გაწევა არ დაუპირებია!.. რედ.

## «დროების» კორესპონდენციები

—

ს. გალაური. (თელავის მაზრა), აპრილის 15-სა. თუ სადამდის მიაღწევს და რა უმეცარ საქმეს მოამოქმედებინებს ხოლმე ჩვენს ხალხს ცრუ-მორწმუნეობა, სხვათა შორისა სჩანს იქიდამ, რომ იგი აღდგომის დღეს არა სთვლის ღირსად მდედრობითს სქესს ეკლესიაში შესვლისა და წირვის მოსმენისათვის ნება მისცეს. ამისი მიზეზი, ხალხის რწმენით, ის არის, რომ სეტყვა მოვა და სულ აგვაოხრებსო. ამ ცრუ-მორწმუნებაზე დამკვიდრებული ჩვენი ხალხი (რადგანაც ჩვენი მამა-პაპა წმინდად იცავდა ამ ჩვეულებას, ჩვენც უნდა ავასრულოთო) ხმარობს ყოველს საშუალებას ეწინააღმდეგოს ყოველს, ვინც ამ ჩვეულების დარღვევას მოინდომებს და იარაღიც კი იხმაროს მოწინააღმდეგეთა დასამარცხებლად. აი, კალაურელებიც, ამ მცნების მიმდევარნი ხმარობენ ყოველს საშუალებას—ოღონდ კი ეს აზიური ჩვეულება წმინდად იქმნას დაცული. ამ ოთხი-ხუთის წლის წინად აქაურმა მღვდელმა, როგორადაც მის თანამეზობელმა მღვდლებმაც, მოიწადინა აღდგომის დღეს ქალების ეკლესიაში შეყვანა. ამ გარემოებამ გამოიწვია დიდი აყალ-მაყალი, ჩივილი და უთანხმოება მღვდლისა და ხალხის შორის. გამოძიებაც დაინიშნა. ზამომძიებლად ვილაც ან—შვილი იყო, რომლის გამოძიებამ ისე ჩაიარა, როგორც შარშანდელმა თოვლმა. ამით ხალხმაც იფიქრა, რომ მღვდელი გაამტყუნეს, ჩვენ მართლები ვყოფილვართო და მღვდელს რად შევაშვებინებთ დედა-კაცებს საყდარშიო. ამის გამო, როგორც შარშან, აგრეთვე წელსაც დაიარაღებული ბიჭები იდგნენ კარებში, რომ დედაკაცთაგანი არავინ შემოვიდეს ეკლესიაშიო. იმათ აგრე ჰქონდათ გამაგრებული კარები, რომ ალექსანდრე მაკედონელი რომ მისდგომოდა, ვერას დააკლებდა; კარებში ისე მჭიდროდ იდგნენ, რომ კარების მოშორებით (ახლო ვინ მიგიშვებდათ?) მდგომი დედა-კაცები ეკლესიის თეთრი კედლების (რასაკვირველია გარედამ!) მეტს ვერასა ხედავდენ და წირვის მოსმენის მაგიერ კაცების ლანძღვა-გინებას ისმენდენ. ქაცების მიბაძვით ზოგიერთმა დედა-კაცებმაც კი მიჰყვეს ხელი ამ საქმეს. წელს ორი დედა-კაცი (ერთი მკითხავია), გრძელი ჯოხებით დაიარაღებულები დარბოდენ დედა-კაცებში და ემუქრებოდენ, ვინც შევა, ამ ჯოხებს მივარტყამთო. იქამდინ მიაღწია ხალხის გაკერპებამ, რომ ერთს დედა-კაცს მიეწოდებინა სანთელი ეკლესიის კარებში მდგომ კაცისთვის — აანთეო და იმას თავში ეთხლიშნა —არ შეიძლებაო. ამას არც მამასახლისი აქცევს ყურადღებას, რასაკვირველია, იმიტომ, რომ თვითონაც, როგორც მათი თანამოაზრე, მონაწილეა ამაში. წინად განაზრახებს ხალხს. —მე ეკლესიაში დაგიძახებთ დედა-კაცები შემოვიდენო და თქვენ ნუ შემოუშვებთო. შესანიშნავი კიდევ ის არის, რომ «მარჯვე ბიჭების» შესაკრეფად, მათი „უსტაბაში“, სანამ მღვდელი დარეკავდეს, რამდენიმე ხნის წინ მივა, დარეკავს ზარს, რითაც აცნობებს თავის ქვეშევრდომებს, მოიყარონ თავი. ყველა ამით, რადგანაც არავინა ჰყავს ყურის-მგდებელი, ხალხი უფრო რწმუნდება თავის, ვითომც, სიმართლეში და იბადება მათში უფრო დიდი გაბედულობა თავიანთი ცრუ-ჩვეულების დასაცველად. ამისთვის საჭიროა, რომ სასულიერო მთავრობამ ყურადღება მიაქციოს და მოსპოს ამისთანა უმეცარი შეხედულება იმისთანა უდიდეს დღეზედ, როგორიც არის აღდგომის დღე.

ი. ვარდოსანიძე.

—

სოფ. იანეთი, ივნისის 2-ს. სოფელი იანეთი, თუ სრულიად არა, ორ წილს მაინც სამაჩაბლო კუთვნილებას წარმოადგენს. მათ ეკუთვნის მამულები, როგორც ტყე, აგრეთვე სახნავ-სათესი, საბალახო ადგილები და თვით გლეხებიც, რომელთაც სულ ცოტა ხანია მას აქეთ, რაც შეისყიდეს ნადელები და გაითავისუფლეს თავი.

თუმცა გლეხებს არაფერი საქმე არა ჰქონდათ ბატონთან, მაგრამ ისინი ერთმანეთს ისე ექცეოდენ, როგორც წინედ.

მაგალითად თ. მაჩაბელი გლეხებს აძლევდა სამუშაოდ ადგილებს—ზოგს სანახევროდ, ზოგს სამესამედოდ, მაგრამ ეს მხოლოდ გარიგება იყო, თორემ თვით მოავლის განაწილების დროს ის აიღებდა ნახევარ ნაწილიდგან მესამედს და მესამედიდგან მეოთხედ ნაწილს.

ტყიდგანაც ასე სარგებლობდენ: გლეხებს ის აძლევდა ხმელ ხეებს შეშად; ხან ამასაც სულ აჩუქებდა ხოლმე, ხან სამესამედოდ მოაჭრევინებდა, ასე რომ ორ წილს მუშას აძლევდა და მესამედს თვითონ მიატანიებდა შინ. სხვა რამ თუ დასჭირდებოდათ —

---

სიამოვნო უსაფუძვლო საძაგლობას გაიძახის თვის მოძმეზედ, განა, ვიმეორებ, ამისთანა სულდგმული განათლებული კაცია?... შორს, ჩემო ბატონო, შორს მათგან!...

— მაგ საცოდავის ნათესავებისთვის არავისთვის შეგიტყობინებია?

— როგორ არა! დღეს და გუშინ ორი ტელეგრამა გავგზავნე ქუთაისს, მაგრამ მათი პასუხი ჯერაც არსადა სჩანს. სიცოცხლის დროს კი ნება არ მომცა საცოდავმა, რომ მისი მდგომარეობა შემეტყობინებინა ვისთვისმე, «ტყუილ უბრალოდ შესწუხდებიან ჩემი მონათესავენი და მე კი ვერაფერს მიშველიანო» — ამბობდა ხოლმე ის ჩემს დაკითხვაზედ.

— დიდი ხანია, რაც მასწავლებლად იყო?..

— რა ბრძანებაა?.. შარშან ამ დროს გაათავა სწავლა ამ ჩვენ საოსტატო სემინარიაში... სანაქებო ახალგაზდა იყო საწყალი, როგორადაც სწავლით, ისე ზნე-ხასიათით... აქვე მისი გრძნობანი და ჭკუა-გონება გლეხ-კაცის ბედისკენ იყვნენ მიმართულნი და, როდესაც თვით ამ ბედს გვერდჳედ მოუდგა, შრომითა და საქმით ამტკიცებდა თავის მიმართულების გულ-წრფელობას...

თვეში ოც-და-ხუთს მანათს იღებდა განსვენებული; ამ ფულიდამ თუმანნახევარს რუსეთში უგზავნიდა მოსწავლე ძმასა და დანარჩენი ერთი თუმნიდამაც თურმე იმდენს ანარჩუნებდა კიდევ, რომ თითო-ოროლ გროშობით შემწეობას აძლევდა ხოლმე გაჭირვებულს ხალხს... და მოკვდა ისე, რომ გროში, კაპეიკი არ დარჩენია საცოდავს!.. შენი მტერი, ჩემი საქმე იქნება, პოლიციამ რომ არ მომცეს ამის ხვედრი ჯამაგირი!.. ეს კუბო, ამ კაცებსაც პატივისცემა უნდათ, პანაშვიდია საჭირო და სხვა წვრიმალი ხარჯიც აუცილებელია!.. არ ვიცი, ღმერთმანი, საიდგან და როგორ გავწვდე ყველა ამას მარტოკა მე, ერთი კაცი?..

ამასობაში, ცხედარი სასაფლაოზედ აიტანეს და აქაურ პატარა ეკლესიაში დაასვენეს. მეორეს დღეს დირექტორი სემენოვის მეცადინეობით ორი თვის ჯამაგირი გამოუვიდა განსვენებულს და ამ ფულით უფრო შესაფერად მოეწყო მისი დამარხვა *). ამავე დღეს, სწორედ დამარხვის დროს, ს. ხოვლედამ ჩამოვიდენ სუდია-მამასახლისი და ერთი გლეხის პატარა ბიჭი. ნამდვილი გულ-წრფელი ჭირის-უფლობა ამათ გაუწიეს თვის საცოდავ მასწავლებელს. მდუღარე ცრემლით ალბობდენ მის კუბოს და თანაც მამა-შვილურის გრძნობით მოსთქვამდენ მის კაი კაცობას და პატიოსნურ საქციელს... «ესა, შენი ჭირიმე, სთქვეს მათ ბოლოს, —კაცი კი არ იყო, ანგელოზი გახლდათ!.. განა არა გვყოლია სხვებიცა, მაგრამ ამისთანა ღვთისნიერი ადამიანი იმათში არავინ იყო... ჩვენ პატარა ბიჭებს გაგიჟებით უყვარდათ ეს მადლიანი კაცი... რაც უნდა ავად-მყოფობა სდგომოდათ მშობლებს სახლში, ისე შევიდოდა, როგორც შვილი იმ ოჯახისა... დარიგებას გვაძლევდა, წიგნებს გვიკითხავდა და ხანდისხან თითო აბაზობით ფულებსაც გვაძლევდა ხოლმე... დაილოცა შენი სამართალი, ღმერთო»!..

დამარხეს და პატარა ჯგუფა ხალხისა წავიდ-წამოვიდა... მეორე დღეს დირექტორი სემენოვის განკარგულებით და სემინარიის მოსწავლეთა თანა-დასწრებით აქაურს სობოროს ეკლესიაში პანაშვიდი გადუხადეს განსვენებულს...

როგორცა სჩანდა, მომავალს მასწავლებლებზედ დიდი შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ახალგაზდა ისიდორე ჭიჭინაძის მწარე ხვედრმა. ვინ იცის, რამდენმა მწარე ფიქრმა წამოყო თვისი უმსგავსი თავი მათს ჭაბუკს სულსა და გულში და ფართო კვალი უიმედობისა ეხლავე გადაიჭიმა მათს ოცნებით სავსე მომავალში... მაგრამ «მოიგონეთ, ძმებო, ის წმინდა ცრემლები გლეხებისა, რომლებითაც უკანასკნელად ისხურა განსვენებული, ის ცხოველი გრძნობანი და გულ-წრფელი სიტყვები, რომელნიც ზემოთ მოვიყვანეთ და დარწმუნდით, რომ თითო ის ცრემლი, თვითეული ის სიტყვა ყოველნაირ მედიდურ დამარხვაზედ უფრო ძვირფასია: მათ ვერ შეედრებიან ვერც ოქროს საცხედრო ეტლები, ვერც მჭევრ-მეტყველური სიტყვები პირველ ხარისხოვან ორატორებისა»...

გულითადი მადლობის ღირსნი ბრძანდებიან დირექტორი სემენოვი და ბ. სუდაკოვი თვისი სახლობით იმ კაცთმოყვარეობისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს განსვენებულს ის. ჭიჭინაძეს და აგრეთვე პატივცემული ექიმი ქაიხ. ფურცელაძე იმ უსასყიდლო შრომისათვის, რომლითაც იგი ხელს უმართავს ხოლმე ყოველ ღარიბ ავადმყოფს და სხვათა შორის განსვენებულ მასწავლებელსაც.

ნ. ლ.

გორი.
მაისის 25-ს.

*) კიდევ დარჩა ცოტაოდენი ფული...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ან ურმის ხეები, ან იარაღისათვის ხე-ტყე, ან კიდევ წვრიმალი საჭიროებათათვის თუ არ აჩუქებდა, მიყიდვით მაინც ისე მიჰყიდდა, რომ გლეხი მადლობელი რჩებოდა. რასაკვირველია, ამისთანა მწყალობელს გლეხებიც ასეთივე თვალით შეჰყურებდენ. მაგალითად, დასჭირდებოდა თავადს მუშები ოციდგან ასამდე და ასიდგან ორასამდე,—საღამოს შეატყობინებდა ხალხს — მუშა მინდაო და დილას ყველანი მზად იყვნენ. ერთი სიტყვით — როგორც ბატონი, ისე გლეხები ერთმანეთს ენდობოდენ და თუმცა ხანდისხან ურთიერთშორის უკმაყოფილებაც მოუხდებოდათ ხოლმე, მაგრამ მალე შერიგდებოდენ და ჩვეულებრივ ცხოვრობდენ.

ამ გვარ გარემოებათა გამო, მცხოვრებლებმა არ მიაქციეს ყურადღება იმას—მომავალშიაც ასევე აქნებოდა საქმე, თუ არა. არ იზრუნეს არც ადგილების შემატებისათვის, რომელთაც იმ დროში ახლანდელზე ოთხჯერ ნაკლებ ფასად იყიდდენ და არც ტყის გაშენებისათვის და პირიქით რაც ჰქონდათ, ბევრნი იმასაც ჰყიდდენ და ტყეებსაც, რასაკვირველია, ძირში სჩეხამდენ და აჩეხეს კიდეც. ასე რომ კარგი უნდა, ამ სოფელში ასამდე გლეხს ჰქონდეს იმდენი ტყე, რომ ეყოს ან შეშად და ან სადობავად.

ამ ნაირად დაჩვეულ ხალხს, ეს სამი-ოთხიოდ წელიწადი იქნება, რაც გაუცუდდათ თავიანთი ფიქრები და ეხლა დღე-და-დღე მოელიან სრულებით უიმედოდ დარჩენას შემდეგის მიზეზის გამო:

თ. მაჩაბელი იძულებული შეიქნა სხვა-და-სხვა შემთხვევების გამო გაეყიდა თავის უკეთესი ტყე. სრულებით ასაჩეხად და ცარიელი მიწები გაეცა საყანედ, რომელსაც ქცევას თუმანზე ნაკლებ არ აძლევს წელიწადში. ტყის მყიდველმა ამ ორი და სამის წლის განმავლობაში დაასია ხალხი მას და სულ ერთიანად ამოსჭრა ძირში, ასე რომ ამ მშვენიერ ტყის ალაგას არის ეხლა ცარიელი მიწა, რომელშიაც დაღონებული გლეხები აძლევენ წელიწადში ათიდგან თუთხმეტ მანეთამდე და ამუშავებენ, მაგრამ ძალიან გულციედ. რომ ჰკითხო მუშას ან მუშაობაზე, ან რაიმე საქმეზე, ის მაშინვე გეტყვის: «რაღაა ჩვენი ცხოვრება: თავის დღეშიც არ გვახსოვს, რომ მიწის ღალად ფული მიგვეცეს მებატონესათვისო და დღეს კი, რაც უნდა ცუდი ადგილი იყვეს, თუმან ნაკლებ არ გვაძლევენ წელიწადშიო. კიდევ კარგი, თუ რომ მოსავლიანი წელიწადი დაგვიდგა,—მაშინ ერთი იმდენ სარგებლობას მაინც მოგვიტანს მიწა, მაგრამ, თუ ცუდი წელიწადი დადგა, ის თუმანიც დაგვეღუპება და ჩვენ ხომ ცარიელი დავრჩებითო. ამას როგორც იქნება, გავუძლებთ კიდევ, მაგრამ ეს შეშა რომ სრულებით მოგვესპო! ამან უფრო გაგვიტეხა გულიო—ეს ამოდენა ტყე, სადაც ფიჩხს მაინცა ვშოულობდით, აჩეხეს სრულად და ეხლა ის ფიჩხიც საჟენებად დადგა და თუმან ნაკლებ არა ჰყიდის საჟენს.

მართალია ეს ტყე არ შეადგენს მთელს სამაჩაბლო ტყეებს,—ამათ კიდევ აქეთ ტყეები თითქმის ოთხი ამოდენაც, მაგრამ ჩვენ ისე გვგონია, რომ დღეს თუ ხვალ ამასაც ისეთივე დღე მოელის, როგორიც პირველ ტყეს; მაშინ დიდ შევიწროებაში ჩავარდებიან გლეხები.

დასასრულ ვისურვებთ, რომ თ. მაჩაბელს ერთბაშად არ აეჩეხინებინოს ამოდენა ტყეები, რადგან ეს დიდად საზარალოა არა თუ მარტო ერთის სოფლისათვის, არამედ მთლად გარემო ადგილებისათვისაც.

ი. იანქოშვილი.

## ბატ. ალ. წულუკიძის თვალთ-მაქცური თავის გამართლება

(დასასრული *)

რა საფუძველი გაქვთ, ბ. წ—ძევ, რომ ამბობთ, ვითომც მე უფულო (ფიქციური) აღსრულებითი ფურცლების ძალით მოგიწვიეთ? იქნება, იმ მოსაზრებით ფიქრობთ რომ მე თქვენებურის ხელობით არ შემიკრებია ფულები. აქ ერთი შემთხვევა უნდა მოგაგონოთ, ბ. წ—ძე, რომლის შემდეგ უფლება არა გქონდათ, კიდეც რომ ისე ყოფილიყო, როგორც მაბრალებთ, მაინც ამგვარ საგანზედ ხმა ამოგეღოთ: თქვენ ის წ—ძე არა ხართ, რომელმაც დასტყუა თვის მოხუცებულს ბიძას უფულო ვექსილები, წარადგინა სასამართლოში, გამოიტანა აღსრულებითი ფურცლები და მთელი საცხოვრებლისაგან გადააგდო საბრალო მოხუცი და ამ გარემოების წყალობით ულუკმა-პუროდ დარჩენილი გარდაიცვალა შევიწროებულ მდგომარეობის გამო; მაგრამ გეტყობათ, თქვენს თვალში დვირეს ვერა ხედავთ, მაშინ როდესაც სხვისაში ბეწვს ეძებთ.

რაკი ჩვენის ბაასის საფუძვლად ის არის, რომ ბ. წ—ძე იმაზედ მომატებულს იღებს იქ, სადაც ნაკლები ერგება, შემდეგი გარემოებაც არ უნდა დავსტოვოთ მოუხსენებელი: ამას წინედ ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობის გამგეობის ერთმა წევრმა ბ. ბ—ძემ ვერ შეასრულა თვისი მოვალეობა წლიური ანგარიშის შედგენის შესახებ და ამის გამო მოიწვია ბ. წ—ძე ერთ ახლო სოფლიდამ; ბ. წ—ძემ დაჰყო ორი დღე გამგეობაში, გადაიტანა უკანასკნელი რიცხვები (იტოგები) ანგარიშის ფურცლებზედ და აიღო ასი მანეთი, მაშინ როდესაც მთელი მისი შრომა, სულ ბევრი რომ ვსთქვათ, ხუთს და ექვს მანეთად თუ დაფასდება, რადგანაც ერთის მხრით ამ შემთხვევაში შველოდენ მას ორი წევრი გამგეობისა, და მეორეს მხრითაც შედგენილი ანგარიშები აღმოჩნდა არა კანონიერად შემდგარი, და იქმნა უკან დაბრუნებული სხვა-და-სხვა შენიშვნებით ფინანსთა მინისტრისაგან. ყოველნი, ცოტაც არის ხალხისთვის გულ-შემატკივარნი, პირნი თითოსა და ორს წელიწადს მუქთად შრომობენ ამგვარ ხალხის ხელის მომმართველ დაწესებულებაში და ამ ვაჟ-ბატონმა კი სულ უბრალო არა დასაფასებელი შრომისათვის ასი მანათი გადაახდევინა უიმისოდაც ღარიბს ამხანაგობის ხაზინას.

ბ. წ—ძე, სხვათა შორის, ულოღიკობასაც გვწამებს, როდესაც შემდეგ გარემოებას ეხება: გელოვანი ამბობს, რომ მე აღმომირჩიეს საამნაურო კომისიაში მავნე პირთა აღმოსაჩენადაო და იგივე გელოვანი. მასახელებს ხალხის გამცარცველ და მავნებელ პირადაო და თანაც უმატებს, ვითომც ოხუნჯობით: როგორ მოხდა, რომ საზოგადოებამ ბოროტების აღმოსაფხვრელად პირველი ბოროტი და მავნე პირი ამოირჩიაო. სცდება ბ. წ—ძე ამ შემთხვევაშიაც. პირველი იმით, რომ ჩვენ ერთი მეორის წინააღმდეგი არსად რა გვითქვამს და მეორეც—ბატ. წ—ძე საზოგადოებას კი არ აურჩევია, არამედ ის ჩააკერეს კომისიის სიაში მისი ჯურისა და პარტიის კაცებმა. ბ. წ—ძე ეხება რაჭაში შემდგარ პარტიობას და თან გულ-მტკივნეულად ამბობს, რომ რაჭის საზოგადო საქმე ამ პარტიობის წყალობითა ხდებაო!! თხამ დამცხიკვა თურმე და მგელმა ღვთის წყალობა უთხრა; თხამ მიუგო: რაკი ეგრე მწყალობ, შენ ჩამომეთხოვე და ჩემი ღვთის წყალობაც ის იქნებაო. სწორედ ესვე ითქმის ბ. წ—ძეზედაც: თუ ეგრე მავნებლად ხედავთ პარტიობას, რატომ არ დაანებებთ თავსა?! პირველი მოთავე ხომ თქვენა ბძანდებით. ჩვენც იმას არა ვსჩიოდით, რომ კერძო ინტრიგის მსხვერპლად გამხდარა მთელი რაჭის მაზრა. დარწმუნდით, პატივცემულო ბოქაულო, რომ მე არავითარი კერძო და პირადი ანგარიშები არა მაქვს თქვენთან, რომლის გამოისობითაც განვიზრახო თქვენი სახელისა და ღირსების დამცირება. რაიცა შეეხება იმას, რომ მე თქვენი მოქმედება გამოვააშკარავე, ეგ პირადობით არ მომხდარა; ეგ მოხდა იმ მიზეზით, რომ მე ზემოხსენებული მოქმედებანი მიმაჩნია კანონის წინააღმდეგ და საზოგადოების დამაზარალებელ მოქმედებად. და რაკი ყოველი სინიდისიერის კაცის მოვალეობაა უსამართლოებასა და ბოროტებას წინააღუდგეს, ამ მიზეზით ვერც ჩვენ დავიფარეთ პირზედ ხელი. მეორე ნახევარი ბ. წ—ძის წერილისა წარმოგვიდგენს ბ. მ. ბაქრაძის ბიოგრაფიას, რომელიც სრულიად არ ჩაითვლება ჩემი წინანდელი წერილის პასუხად და ამისათვის ამ საგანზედ არას ვამბობ. თავის წერილის დასასრულში მიწოდებს ბ. ბოქაული ორის მოწმითურთ თავის დავთრების მოსაჩხრეკად და იქიდამ ცნობების ამოსაკრებად!! მელამ რომ თავის კუდი მოწმად დანიშნა, ხომ გაგიგონიათ, ბ. წ—ძევ! არა, მე თქვენ ეგრე უგუნური და უხერხული არასოდეს არა მჩვენებიხართ, რომ თქვენს წიგნებში თქვენი საზარალო რაიმე ჩაგეწეროთ და ამისათვის არა ვხადით საჭიროდ იქიდამ ცნობების ამოკრებას, რადგანაც ჩვენი შენიშვნების დამამტკიცებელი საბუთები უიმისოდაც მრავალია და ზოგიერთი მათგანი დღესაც ხელში გვიჭირავს.

ქაიხოსრო გელოვანი.

*) იხილე „დროება“ № 120.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

სპარსეთის მაზრის უფროს საჭურისს შემდეგი უბედური შემთხვევა მოსვლია. იგი წელიწადში ორჯერ თუ სამჯერ მიდის ზერათში, სადაც ძლიერ ლამაზი ქალები ისყიდება. ამის იქ წასვლას ორნაირი დანიშნულება აქვს: უნდა შაჰის ჰარამხანიდან წაიყვანოს დამჭკნარი ქალები და ამათ მაგივრად სხვები იყიდოს. უკანასკნელად რომ წავიდა ზერათში, გზაზე ყაჩაღები დაეცნენ და წაართვეს ქალებიც, რომელნიც თანა ჰყავდა, და ორი ათასი თუმანი ფულიც. ხელ-ცარიელი დაბრუნდა შინ საჭურისი და ძლიერ ეშინოდა შაჰის რისხვისა, მაგრამ, მისდა მოულოდნელად, შაჰის არაფერი გადაუხდევინებია, რადგანაც ჰარამხანაში ჯერ კიდევ სამყოფი ქალები მყავსო.

# ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ივნისის 5-ს.

პეტერბურგი. ხვალ დასწვენ 30 მილიონი მანათის ქაღალდის ფულსა.

ბერლინი. თავ. ბისმარკის ორგანი „ჩრდილო-გერმანიის გაზეთი“, უპასუხებს რა პარიჟის გაზეთებს, რომელნიც შიშობენ, რომ ორანის პრინცის სიკვდილის შემდეგ ჰოლანდიის ტახტზე რომელიმე ნემცების პრინცთაგანი არ ავიდესს, ამბობს, რომ ჰოლანდიაში ტახტის-მემკვიდრეობის წესი ცხადად არის დადგენილი იქაური კონსტიტუციის მიერ; ამ სახით სრულებით საშიში არ არის, რომ ამ საქმეში სხვა რომელიმე ქვეყანა ჩაერიოს და ამისათვის ყველას ტყუილად ჩაუვლის ცდა ამ საქმეს საზოგადო ევროპიული ხასიათი დასდვასო.

აქ მოვიდა ამბავი, რომ ბაღდადში ბუბონის ჭირი გაჩენილა, რისგამოც სპარსეთი და ოსმალეთი საფრთხილო ზომებს იღებენ.

ნიში. ტყუილი დგება ის ამბავი, ვითომც სერბია ჯარებს ამზადებდეს და ბულგარიის საზღვარზე აგროვებდეს.

ქრისტიანია. მეფე სრულებით დათანხმდა,—ოპოზიციის წევრნი დანიშნოს მინისტრებად რო-

მელთა თავ-მჯდომარედ ბროხი იქნება.

**ბომბეი.** ინდოეთის მმართებლობამ გადასწყვიტა ფულის სუბსიდია გაუჩინოს უძლიერესს ავგანის თემს—ჰილზაიაებს.

**მოსკოვი.** გუშინ ბირჟაზე ხმა გავრცელდა, რომ ნაქსოვი საქონლით მოვაჭრე 1 გილდიის ვაჭარი ი. ვ. ტიურინი გაკოტრდა და 870,000 მანეთზე გამოაცხადა თავი შეუძლებლადაო; ამბობენ, რომ ტიურინი მანეთზე მარტო 50-60 კაპ. მიცემას ჰპირდება მოვალეებსაო.

**ვენა.** გერმანიამ, ავსტრო-ვენგრიამ და რუსეთმა ოფიციალურად გამოუცხადეს სერბიის მმართებლობას, რომ ისინი კისრულობენ მის ბულგარიასთან მორიგებას; სერბიის მმართებლობამ დიდის მადლობით მიიღო ეს წინადადება.

**ლონდონი.** ორივე პალატას ოფიციალურად გამოეცხადა, რომ საფრანგეთისა და ინგლისის შორის თანხმობა ჩამოვარდა ეგვიპტის საქმის შესახებ. გაზეთების ცნობებით, თანხმობა მარტო ეგვიპტიდგან ინგლისის ჯარების გამოყვანას შეეხება და ეგვიპტის დაცლის უკანასკნელ ვადად დანიშნულია 1888 წლის 1 იანვარი; საქმის ფინანსიერი მხარე კი კონფერენციამ უნდა გადასწყვიტოს; ამბობენ აგრეთვე, რომ საფრანგეთი და ინგლისი კერძოდ დათანხმებულან ურთიერთ-შორის, რომ სუეზის არხი სანეიტრალოდ დაიდვას.

# განცხადებანი

—

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — 2 — 50 |
| საუკეთესო 2—,, | — 3 — ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცისა და ქალისა, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—33)

---

## მირზაშვილის მოსამზადებელი სკოლა.

ამით აცხადებს, რომ ამ სკოლაში სწავლა წარმოებს მთელი ზაფხულის განმავლობაში და ვისაც სურს ყმაწვილის მომზადება, უნდა შემოიყვანოს მხოლოდ 15 თიბათვემდინ.

ადრესი: ოზურგეთის ქუჩა, გრიგოლ აბესალომოვის სახლებში.

ალექსანდრე მირზაშვილი.

(5—2)

---

## ინგლისური რკინის კრაოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საკარაქე, საშაქრე, ჩაის და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფორსი, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფრა-ხელსახოცები, საწყაო, სკები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა; აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაკრატლები, ქუსები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, კატერპრუფი, საბნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ემალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტიკონები და სხვ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156-157, 158, 159, და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—16)

---

გამოვიდა და ისყიდება:

## განქიცხული.

მოთხრობა

ა. მ. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ათი შაური.

ისყიდება: თბილისში, «დროების» რედაქციაში და შავერდოვის წიგნების სააგენტოში.

ქუთაისში. ჭილაძის მაღაზიაში.

თელავში. ბ. როსტომაშვილთან.

ფოთში. ბ. ხუმარაძის მაღაზიაში.

(20—13)

---

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

# საქართველოს მოკლე ისტორია.

მოსე ჯანაშვილისა.

ფასი 60 კაპ.

ვინც პირ-და-პირ გამომცემლისგან (Тифлисъ Михайлов. ул. № 42 Георгію Давидовичу Картвелову) დაიბარებს არა ნაკლებ 20 ეგზ., იმას წიგნი დაეთმობა 50 კაპეიკად.

მოკლე დროში წიგნი გაიგზავნება საქართველოს უმთავრეს ქალაქებში. (3—2)

---

## ინგლისის მაღაზიაში,



ამის-ამომყვანი მაკ-მასტერი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—37)

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან., სხოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

---

## საკლობუსო  კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდზე. ერთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარი კალმები უოკელის «ხელისათვის»—25% იაფად, ვიდრე სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტ-სიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლის საწმენდად (ბორაკსი) თეთრეულისათვის, პატარა ხალები იატაკისათვის, კლიონკები, ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ჩემსები, მაგნიტები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყლები, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები, თავისა; ტანისამოსისა, ცხენისა და პატენტიანი მაკინტოშები, გრაგები, საქმიო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატაუკი—20 კ. (100—95)

---

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ივნისიდამ 15 ივლისამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ადგილის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჭვავის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | — კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

Доз. ценз. Тифлисъ, 6 Іюня 1884 г. სტამბა არ. კალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.